

ა.ა.ი.პ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს
სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი # 29

ქ.თბილისი

2018 წლის 30 ოქტომბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2018 წლის 30 ოქტომბერს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 5 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე, სულხან სულხანიშვილი, ლევან ჩიკვაძე.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის განცხადება, ამა წლის 20 ოქტომბერს, ჭაბუკთა „ა“ ლიგის მატჩზე, ქობულეთის „პონტო“-სა და თბ „არმია“-ს შორის, ქობულეთის „პონტო“-ს არგამოცხადების შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

ამა წლის 20 ოქტომბერს, ჭაბუკთა „ა“ ლიგის მატჩზე, ქობულეთის „პონტო“-სა და თბ „არმია“-ს შორის, ქობულეთის „პონტო“ არ გამოცხადდა თამაშზე. ქობულეთის „პონტო“-ს დაუფიქსირდა თამაშზე არ გამოცხადების მეორე შემთხვევა.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.12 პუნქტით და ერთხმად მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. ქობულეთის „პონტო“ მოხსნილი იქნას ჩემპიონატიდან და აკრძალოს ანალოგიურ ჩემპიონატში მონაწილეობა მომდევნო 2(ორი) საშეჯიბრო სეზონის განმავლობაში, ხოლო მოწინააღმდეგე გუნდს ჩაეთვალოს ბონუსქულიანი მოგება და ანგარიში დაფიქსირდეს 30:0.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე

/მ.თავზარაშვილი/